ცნობის ფურცელი

№ 1822 ოთხშაბათი, 29 მაისი. 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1822

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვახქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **4** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირაუქმეების გარდა
დილით:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

გ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. მოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ. თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ფ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაძისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკის ომის უმთავრესი მომენტები. ბურების გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის გაგრძელდა თითქმის სამი წელიწადი. ეხლა, როცა ომიანობა დასრულდა, საინტერესოა უმთავრეს მომენტების გახსენება (დრო ნაჩვენებია ახალის სტილის მიხედვით).

1899 წელი.

2 ოქტომბერი. ბურების ულტიმატუმი, რომელშიაც თხოულობდნენ, რომ უთანხმოება უიტლენდერების (არა-ბურების) მდგომარეობის შესახებ ტრანსვაალში გადაეცეს განსახილველად სამედიატორო სამართალს და რომ ინგლისმა უკანვე წაიყვანოს ტრანსვაალის საზღვარზე დაყენებული ჯარი.

10 ოქტომბერი. ინგლისმა კატეგორიულად უარჰყო ბურების ულტიმატუმი.

11 ოქტომბერი. ბურები შეესივნენ ინგლისის სამფლობელოს (ნატალს).

20 ოქტომბერი. ბურების გენერალმა ლუკას მეიერმა საშინლად დაამარცხა გლენკოსთან ინგლისელი გენერალი სიმონსი. ინგლისის ჯარებმა ლედისმიტისაკენ დაიწიეს.

21 ოქტომბერი. ინგლისის გენერალმა ფრენჩმა გაიმარჯვა ბურებზე ელანდსლაგტესთან.

30 ოქტომბერი. ბურებმა დაატყვევეს ინგლისელების მთელი რაზმი ნიკოლსონ-ნეკთან.

31 ოქტომბერი. კაპშტადტში მოვიდა ინგლისიდან გენერალი ბულერი (პირველი მთავარ-სარდალი).

23 ნოემბერი. ინგლისელ გენერალმა მეტუენმა დაამარცხა ბურების პატარა რაზმი ბელმონტთან.

24 ნოემბერი. მეტუენისავე გამარჯვება გრასპანთან (ენსლინში)

29 ნოემბერი. გენერალი მეტუენი საშინლად დაამარცხეს ბურებმა მდინარე მოდერთან (მოდერ-რივერ).

10 დეკემბერი. გენერალ გატაკრის დამარცხება ბურებისაგან სტრომბერგთან.

11 დეკემბერი. მაგერსფონტეინთან ბურებმა სასტიკად დაამარცხეს გენერალი მეტუენი.

15 დეკემბერი. გენერალ ბულერის დამარცხება კოლენზოსთან.

1900 წელი

10 იანვარი. ლორდ რობერტსი (მეორე მთავარ-სარდალი) და კიტჩენერი (შტაბის უფროსი) კაპშტადტში მივიდნენ.

24 იანვარი. გენერალ ბულერის დიდი დამარცხება სპიონსკოპთან.

8 თებერვალი. ბულერისავე დამარცხება ვაალკრანცთან.

15 თებერვალი. გენერალ ფრენჩმა განათავისუფლა ქალაქი კიმბერლეი, რომელიც ალყა შემორტყმული იყო ბურებისაგან.

18 თებერვალი. ინგლისის ჯარების მთავარსარდალმა რობერტსმა შემოუარა მთელის თავის ჯარით ბურების გენერალს კრონიეს, რომლის ჯარი რვა ათას კაცს არ აღემატებოდა.

27 თებერვალი. კრონიეს დატყვევება 4300 ბურთან ერთად პაარდებერგთან.

28. თებერვალი. ბურებმა საჩქაროდ შემოხსნეს ალყა ლედისმიტს.

13 მარტი. ინგლისლებმა დაიკავეს ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ბლუმფონტეინი.

18 მაისი. ბურებმა ალყა შემოხსნეს მეფკინგს.

27 მაისი. ლორდი რობერტსი თავის ჯარით ტრანსვაალის ტერიტორიაზე შევიდა.

28 მაისი. ორანჟეს რესპუბლიკა გამოაცხადეს ბრიტანიის იმპერიის სამფლობელოდ.

31 მაისი. ინგლისელები შევიდნენ იოჰანესბურგში.

5 ივნისი. ინგლისის ჯარები შევიდნენ ტრანსვაალის სატახტო ქალაქ პრეტორიაში და ანთავისუფლებენ ტყვეობიდან ოთხი ათას ინგლისელ ჯარის კაცს.

30 ივლისი. ბურების გენერალი პრინსლოო ხუთი ათას ჯარის კაცით დანებდა ინგლისლებს ფურისბერგთან.

23 აგვისტო. ბურები დამარცხდნენ ბელფასტთან.

20 სექტემბერი. ლორდ რობერტსმა გამოაცხადა, რომ ომი გათავებულია, და თუ ვინმე იბრძვის ბურების მხარეზე, ისინი „მაროდერების“ (მძარცველების) ბრბოებს წარმოადგენენ, რომელნიც დაქირავებული არიან.

20 ოქტომბერი. პრეზიდენტი კრიუგერი წამოვიდა ევროპაში ჰოლანდიის სამხედრო გემით.

25 ოქტომბერი. ფორმალური გამოცხადება, რომ ტრანსვაალი დიდი ბრიტანიის სამფლობელოა.

11 დეკემბერი. ლორდ რობერტსმა თავი დაანება სამხრეთ-აფრიკას და მთავარ-სარდლობა კიტჩენერს გადასცა.

1901 წელი.

მარტის პირველი რიცხვები. კიტჩენერისა და ბოტას შუა მოლაპარაკება გაიმართა, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ.

30 მაისი. ბურებმა დაამარცხეს ინგლისლები ფლაკფონტეინთან.

6 აგვისტო. კიტჩენერმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ბურების ყველა მეთაურები, რომელთაც იარაღი არ დაუყრიათ, სამუდამოდ განდევნილი იქნებიან სამხრეთ-აფრიკიდან და დაჰკარგვენ მთელ თვის ქონებას.

20 აგვისტო. ბურებმა გაიმარჯვეს უნიონდალთან.

30 სექტემბერი. ბურებმა გაიმარჯვეს მუდვილთან.

11 ოქტომბერი. ინგლისლებმა დახვრიტეს ბურების სარდალი ლოტერი.

12 ოქტომბერი. ინგლისელებმა დაატყვევეს ბურების სარდალი შეპერსი (დახვრიტეს 1902 წლის 19 იანვარს).

1902 წელი.

30 იანვარი. ჰოლანდიის პირველ მინისტრმა შუამდგომლობის წინადადება მისცა ინგლისს.

10 თებერვალი. დევეტმა გაარღვია ინგლისლების ჯარები.

9 მარტი. ბურებმა სასტიკად დაამარცხეს ინგლისელები ტვიბოშთან; ლორდ მეტუენი დაატყვევეს, მაგრამ დელარეიმ იგი განათავისუფლა.

17 მარტი. ტრანსვაალის მთავრობის წევრები შალკ-ბურგერის მეთაურობით მოვიდნენ ბელფასტში. დაიწყო ზავზე მოლაპარაკება.

31 მაისი. ზავის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს პრეტორიაში.

ფელეტონი

გულჯავარ.

ეპიზოდი ირაკლი მეორის დროიდან

(დასასრული)

VII.

ორი დღის შემდეგ ბატონიშვილმა
ლევანი იხმო, საქმე უბრძანა
და სახელმწიფო მინდობილებით
დაუყოვნებლივ ქიზიყს გაგზავნა.
ქიზიყში დარჩა რამდენიმე დღე
და მოეწყურა შინ დაბრუნება:
რაღაც წინგრძნობამ ჯავარზედ ფიქრით
მას შეუცვალა თითქო გუნება...
ამ დროს რამაზმა ფიცის გამტეხმა
გადაუხვია ლევანის რჩევას:
არ მოერიდა არც შენაფიცსა,
არც მინდობილის მეგობრის წყევას
და უსირცხვილოდ გულჯავართანა
თითქმის ყოველ დღეს ის ათენებდა...
დემონიური მისი სიმშვენე
მას ჰკლავდა, სწყლავდა, არ ასვენებდა.
ქალი ცდილობდა, ამ საბრალოსთვის
უფრო და უფრო თვალი აება,
რომ მოხიბლული ცრუ ტრფიალებით
ირაკლის კვლაში უცბად გაება.
არცა სცდებოდა ჰკვიანი ჯავარ:
მას სჭირდებოდა მხოლოდ ბრძანება,
რომ ბედკრულ რამაზს მსწრაფლ შეესრულა
მისი სურვილი, მისი ზმანება...
ვინ იქნებოდა, დაშტერებიყო
მისს მოელვარე მელნისა ტბასა
და თვით ჯოჯოხეთს მორიდებიყო
არამც თუ მარტო კაცისა კვლასა!!

—

როცა ლევანი სახლში დაბრუნდა
და გაემართა გულჯავართანა,
მაშინ ეჭვები სულ გაუმართლდა:
რამაზს მოასწრო მან იმასთანა.
ლევან აენთო ამ დანახვაზედ,
აშკარად მიხვდა, რაც იქ ხდებოდა,
როგორც ერთგული ძმათ-შეფიცული
მას გულის სატრფოს ეცილებოდა.
მეტის სიბრაზით კილამ გაგიჟდა,
რა დაინახა ცრუ მეგობარი,
საშინლად ლანძღა, ყველა უწოდა
გესლიან ენით შენამკობარი:
ფიცის გამტეხი და სულმდაბალი,
ცრუ, მოღალატე და რჯულის მგმობი...
არც მან დააკლო ლევანს პასუხად,
ბევრი რამ უთხრა არ დასათმობი.—
ამით ერთმანეთს გადაეკიდნენ
და მოსაკლავად დაუწყეს დევნა:
ამას უქადდა ორს ძმა-მეგობარს
გულჯავარისა ალერსი-ხვევნა.

VIII.

ხანი გავიდა. ერთ დღეს ირაკლიმ
შეჰკრიბა მთელი თავის ამალა;
რჩეულთა ყრმათა, მხედართ და მსროლელთ
მთლად მოედანი რაზმმა დამალა.
იმათ ირაკლიმ გამოუცხადა,
რომ მთებში ჯიხვზედ წასვლას აპირებს,
და ვინც არა გრძნობს გულს გულის ალაგს,
იმას მოისხლეტს, გაანაპირებს.
აქ ჭაბუკთ კრებამ ლაღმა, მებრძოლმა
ბატონს შესძახა მხიარულებით:
— შე დალოცვილო! როდის არ გახლდით
ბრძოლაში ცეკვით და მაყრულებით?!
ეგ მწარე სიტყვა რამ გათქმევინათ?
ნუკი გვილახავთ მაგითი გულსა:
ჯიხვებს კი არა, მდევებს შევებმით,
გულსა მოვიფხანთ აზღვავებულსა!!.
სთქვეს და მოახტნენ ყარაბაღულებს,
ასტეხეს აბჯართ და რახტთა ჟღერა;
პირველი წყება ირაკლის მიჰყვა
და შემოსძახა „წასვლის“ სიმღერა.
შემდეგ დაჰკივლა „ქორ-ოღლი“ ზურნამ,
და წინ გამოხტნენ სხვა დანარჩენნი,
შემოჰკრეს ცხენებს, შეათამაშეს,
მინდვრად გაცვივდნენ, ვით შავარდენნი.
იწყეს ლაღობა, ჯირითი, სროლა,
ხმლით ვარჯიშობა, ცხენთა ჭენება,
და ამ თამაშით ისე გაერთვენ,
აღარ ახსოვდათ მათ დასვენება.
წაიხალისეს და ერთმანეთსა
მიჰყვნენ ცხენ და ცხენ, ესროდენ თოფსა:
ტყვია-ნაკრავი ქუდნი სცვიოდათ,
გააშტერებდნენ ყველას იქ მყოფსა.
რამაზ და ლევან არ ჩამოურჩნენ
ნავარდობაში თავის მოძმეთა...
ბატონიშვილი სულით სტკბებოდა,
რა უყურებდა ამგვარ მოყმეთა.

IX.

მთელი დღე ცოცხლად მოინადირეს
ყველა ნადირი—დიდნი, მცირენი...
საღამო იყო, როს ავარიას
მიუახლოვდენ მონადირენი.
ლევანმა მხოლოდ ეხლა შენიშნა,
რამაზი უცბად საიდღაც გაჰქრა;
მაშინვე მიხვდა, რა გაიხსენა,
რომ ავარიას ჯავართან გაჰქრა!..

ახალი ამბავი

◆ ორშაბათს, 27 მაისს, **ისევ არ შესდგა** ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ეს სხდომა მეოთხედ იყო დანიშნული!

◆ ტფილისის ოლქის სასამართლომ, გუშინ, 28 მაისს, ჰუსეინ-რაჰიმ-ოღლის საქმის შესახებ (ანგარიში იხილე ქვემოთ) მოასწრო ბევრის მოწმის გამოკითხვა. ზოგიერთი მოწამე არ გამოცხადდა; მათ შორის მეტად საჭირო მოწამე გრიგოლ მაკაროვი; იგი დაჯარიმებულ იქმნა 50 მანეთის გარდახდევინებით. სასამართლო საქმის განხილვას განაგრძობს დღეს, 29 მაისს, დილის 9 საათიდან.

◆ ტფილისში, „კავკაზ“-ის სიტყვით, რამდენიმე კაპიტალისტი აარსებს აქციონერთა ამხანაგობას, რომელსაც საგნად აქვთ ქალაქის განაპირას, ვერაზე, **ააშენონ იაფ-ფასიანი სადგომები.** ამ ახალი ამხანაგობის წესდების შედგენას უკვე შეუდგნენ, რის შემდეგაც ამხანაგობის წევრნი მიმართავენ შუამდგომლობით, სადაც ჯერ არს.

◆ **მოგზაურობის პროგრამა პროფესორის ვ. მ. პეტრიაშვილისა**, რომელიც 20—25 სტუდენტით გამოვიდა ოდესიდან 25 ამ თვეს, შემდეგია: ქერჩში ინახულებენ რკინის ქარხნებს, ნოვოროსიისკში—ცემენტის ქარხნებსა და ელევატორს; გზა-და-გზა კავკავამდის დაათვალიერებენ წყლებს, კავკავში ბ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანას; კავკავიდან სამხედრო გზით მოვლენ მცხეთაში, იქიდან ტფილისში, სადაც დარჩებიან ორ დღეს და დაათვალიერებენ ზოგიერთ ქარხნებსა და შესანიშნავ ადგილებს; ტფილისიდან—ბაქოში, სადაც დარჩებიან ექვს დღეს; შემდეგ განჯაში ინახულებენ ფორერის მარნებს; აქედან ტფილისზე გავლით ინახულებენ კახეთში მდებარე საუფლისწულო მარნებს; მერმე წავლენ გომში თ. ამირაჯიბის მამულის სანახავად. აქედან ბორჯომში, აბასთუმანში, ზეკარში და ქუთაისში. შემდეგ: ტყიბულში, ჭიათურაში, სამტრედიაში, სადაც ინახულებენ, ბ. ოქრომჭედლოვის სახერხ მანქანას; ჩაქვში—ინახულებენ ჩაის პლანტაციებს და ბოლოს ბათუმში, სადაც დაათვალიერებენ შესანიშნავ ადგილებს. აქედან სტუდენტები რუსეთში დაბრუნდებიან, თვითონ ბ. პეტრიაშვილი ორი კვირის ვადით დარჩება ქუთაისსა და ტფილისში.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტფილისის მაზრაში, სოფ. კუმისისა და რკინის-გზის სადგ. ჯანდარის მინდვრებში **პური ხრულებით გაფუჭებულა** ერთგვარის ჭიისაგან. პურის თავ-თავი ერთიანად გაშავებულია და მარცვალი ჩამპალი.

მცოდნე მეურნეები სამიწად-მოქმედო სამინისტროსა ამტკიცებენ, რომ ერთად-ერთი საშუალებაა იმისა, რომ ეს სენი შემდეგში აღარ იყოს, ეხლავე უნდა ერთიანად გადასწვან წლევანდელი ყანები და შაბიამანი მოასხან ადგილებს.

◆ გუშინ თელავისა და თიანეთის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ამას წინად აღნიშნულ მაზრების თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაზე აღიძრა საკითხი თელავის მაზრის მემამულეთა ვენახებში **სეტყვასთან საბრძოლველ მორტირების** მოწყობის შესახებ. თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა ამორჩეულ იქნეს შეგნებულ პირთაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წესი და პროექტი, თუ როგორ ებრძოლონ ვენახების გამანადგურებელ მტერს მორტირების საშუალებით. ამის გამო თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს კავკასიის-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეატყობინოს ყველა ის დადგენილებანი და შუამდგომლობანი, რომელნიც შეეხებიან აღნიშნულ მანქანების მოწყობის საქმეს.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ტფილისის ქალაქის საბჭომ, ქალაქის გამგეობის მოხსენების თანახმად, გადასწყვიტა დაეთმოს დასასახლებლად იჯარით ქალაქის მიწები **შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ**, რომელთაც ეს ითხოვეს ქალაქის გამგეობისაგან. ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს განუხილავს საბჭოს ეს გარდაწყვეტილება და არ დაუმტკიცებია.

◆ **კავკავის კადეტთა კორპუსი** აცხადებს, რომ ბავშვების მისაღები ეგზამენები ამ წელს კორპუსში შესასვლელად მოხდება 27 აგვისტოს დილის რვა საათიდან კორპუსის დროებით სადგომში, 81 აპშერონის პოლკის ყაზარმაში № 83. მიიღებენ ბავშვებს პირველს და მოსამზადებელს კლასებში. კორპუსში შესვლის პროგრამები, სამხედრო სასწავლებლის მთავარ სამმართველოსაგან გადაშინჯინული, გამოიცა 1901 წელს და ისყიდება წიგნის მაღაზიებში. მოსამზადებელს კლასში შემსვლელმა უნდა იცოდეს გარკვევით კითხვა, წიგნიდან გადმოწერა და უფრო სახმარებელი ლოცვები. ვინც ესენი არ იცის, ისინი კანონით მოსამზადებელს კლასში არ მიიღებიან, რადგანაც ძნელია შემდეგში იმათთან კურსის გავლა.

◆ გუშინ, 28 მაისს, **ტფილისის სასულიერო სემინარიაში** ეგზამენები უკვე დასრულდა. ამ დღეებში შეუდგებიან თელავისა და ტფილისის სასულიერო სკოლებში კურს დასრულებულ შეგირდების გამოცდას სემინარიაში მისაღებად.

◆ ამას წინად ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ საქალაქო **გარდასახადიდან განთავისუფლებული** იყოს ქალაქის ის უძრავი ქონება, რომელსაც მცირე შემოსავალი შემოაქვს. ეს დადგენილება საბჭოსი ბ. ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა.

◆ სადგურ მიხაილოვიდან გვატყობინებენ, რომ სადგურის ახლო-მახლო მიდამოებში **დიდი სეტყვა მოვიდა**, რომელმაც ძალიან დააზიანა ვენახები და ნათესები. სადგურებ მიხაილოვოს, სურამის, ვარვარინოს და წიფას შენობებში ათასზე მეტი ფანჯრის შუშები ჩაამტვრია.

◆ 27 მაისს, ღამის 12 საათზე, საქონლის მატარებელი № 203; რომელიც ნავთლუხიდან მიდიოდა ტფილისში, სადგურზე შემოვიდა, როდესაც სემაფორი დახურული იყო და სადგურზე სახალხო ვაგონების მანევრებს აკეთებდენ. ამ დაუდევრობის გამო **ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა**, რის გამოც ორივე ლოკომოტივი, ექვსი სავსე ცისტერნა და ოთხი სახალხო ვაგონი დაზიანდა. ამასთანავე დაშავდენ: მთავარ-კონდუქტორი პატიაგლოვი, კონტუქტორი პარახნევიჩი და ტელეგრაფის უფროსი მუშა კოკუაშვილი, რომელიც სამუშაოდან მოდიოდა. დაჭრილები რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების დასათვალიერებლად წასული კომისია ინჟენერ ივანოვსკის მეთაურობით, ხვალ, 30 მაისს, ბათუმიდან **დაბრუნდება ტფილისში** და ამით დასრულდება გზების დათვალიერება.

◆ რადგანაც მიწად-მოქმედების დეპარტამენტი თანახმა გახდა იმისა, რომ ტფილისის **სახელოსნო სკოლის გამგედ** მოწვეულ იქმნას კავკასიელი სტიპენდიანტი, ბ-ნი ივანოვი, ამიტომ ამ დღეებში კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განკარგულება მოახდინოს, რომ ბ. ივანოვი შეუდგეს თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ 20 მაისს, თელავის საქალაქო რწმუნებულთა კრებაზე, სხვათა შორის, დაადგინეს ხორცზე შემდეგი ნიხრი: ძროხისაზე—1 გ. 8 კ. და 7 კ. ხბოსაზე—10 კ., სუკი 1 გ.—10 კ., ცხვრისა—8 კ. და ბატკნის—10 კ.

◆ სადგურ ტატლუდან იტყობინებიან, რომ 27 მაისს დილის ოთხ საათზე საქონლის მატარებლის №-189 გავლის შემდეგ, გზის დარაჯმა შენიშნა, რომ 386 ვერსზე კარიერის ისრის კლიტე გაფუჭებული იყო და ისარი კარიერისკენ იყო დაყენებული, ასე რომ მატარებელს რომ გამოევლო, კარიერისკენ წავიდოდა და დიდი უბედურება დატრიალდებოდა, დარაჯს რომ არ შეენიშნა.

◆ 27 მაისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, რაზიეზდნი ქუჩაზე თელავის მაზრის მცხოვრებს ბათლომე უთიაშვილს ეშმაკობით გამოუტყუებია ტფ. მცხოვრებ ივანე ტერ-ოღანეზოვისათვის ფულიანი ქისა. ქისაში 100 მანეთი ყოფილა. ოგანეზოვს ეს ამბავი შეუტყობინებია პოლიციისათვის, რომელსაც კიდეც დაუპატიმრებია უთიაშვილი. გამოძიება სწარმოებს.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ ქუთაისის ქალაქის მმართველობას სურს აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან, რომ ქუთაისში სარკინისგზო სასწავლებელი იქმნეს გახსნილი.

∽ ყოვლად სამღვდელო ლეონიდე 26 მაისს გაემგზავრა ქვემო იმერეთის ეკკლესიების სარევიზიოთ. პირველად ეწვევა ს. საჩინოს საბლაღოჩინოს და იქიდან მეზობელ საბლაღოჩინოებში გადაბძანდება. ეს რევიზია, როგორც გვითხრეს, რამდენიმე კვირას გაგრძელდება.

∽ ქართველ არტისტთა ამხანაგობა, ვალერიან გუნიას მეთაურობით, ბათუმსა და ფოთს შემდეგ კიდევ ეწვევა ქუთაისს, სადაც მხოლოდ ერთ წარმოდგენას გამართავს.

∽ წიგნების გამომცემელ ქუთათური ამხანაგობის გამგეობამ უკვე დაასრულა ქალაქის ბაღში კიოსკის შენება, რომლითაც, სიმართლე უნდა ვსთქვა, სწორედ დაამშვენა ბაღი. კიოსკი 900 მანეთამდის დაუჯდათ. ჯერ გამგეობას ვალი არ აუღია, მაგრამ შემდეგში, მგონი კი დასჭირდება ვალის აღება კიოსკის მოსაწყობად, თუ ამხანაგობის წევრებმა და აგენტებმა ჩვეულებრივ გულცივობა გამოიჩინეს ამ კეთილი საქმისადმი. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კიოსკის აშენებამ ისეთი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, რომ ერთი თვის განმავლობაში იმდენი შემოვიდა საწევრო ფული ძველი თუ ახალი წევრებისაგან, რამდენიც წინეთ მთელ წლობით არ შემოდიოდა. კიოსკში გაიყიდება როგორც ამხანაგობის გამოცემები, ისე ყოველგვარი ქართული წიგნი, რუსული სამოსწავლო წიგნები, საკანცელარიო ნივთები და პერიოდული გამოცემები.

∽ მკითხველებმა იციან, რომ ამას წინად ფოთში სასულიერო სამმართველოში სამმართველოს მდივანმა ლევანტი ჩაჩანიძემ უცაბედად რევოლვერით მუცელში დასჭრა ოზურგეთის ბლაღოჩინი მღვდელი მ. დიმიტრი ქიქოძე, რომელიც ქუთაისში ს. თოფურიას საავადმყოფოში ჩამოიყვანეს საწამლებლად.

მამა ბლაღოჩინი ამ ჭრილობისაგან 24 მაისს უკვე გარდაიცვალა. მიცვალებული ოზურგეთს გაასვენეს, გამოსვენებას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

თეატრი

ფოთი. არც ჩვენი ქალაქი დაუტოვებია უყურადღებოდ ტფილისის ქართულ დრამატიულ დასს, რომელიც ქუთაისის შემდეგ პირდაპირ ჩვენ გვეწვია და ორჯერ ზედი-ზედ ქართული წარმოდგენა გაგვიმართა. პირველი წარმოდგენა ხუთშაბათს, 23 მაისს, იყო გამართული ადგილობრივ კლუბის დარბაზში ხსენებულ დასის მიერ ბ-ნ ვ. ლ. გუნიას რეჟისორობა გამგებლობით. წარმოდგენილი იყო „ძალა აღმართს ხნავს“ კომედია 4 მოქ. გადმოკეთებული ვალ. გუნიასი სოლოვიოვიდან. კარგ შინაარსიანმა პიესამ, შეკულმა ადგილ-ადგილ მოხდენილის კომიზმით, საზოგადოება მეტად ასიამოვნა; არტისტებს როლის შესრულების დროს სიტყვას აწყვეტინებდნენ და ვაშას ძახილითა და ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ. განსაკუთრებით მშვენივრად დაგვისურათა სცენაზე: კნეინა ქეთევან გურჯაანიძისა, გენერლის ქვრივი—ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისამ, თამარ (ტამოჩკა), ამისი ქალი—ქ. კარგარეთელმა და ზაზა მარნიშვილის, მდიდარი შეძლებული მექარხნეს შვილი ახალგაზდა ვახტანგ—ბ. ვ. გუნიამ. საზოგადოდ კარგად ითამაშა: ზაზა მარნიშვილი, მდიდარი შემძლე მექარხნეს როლი ბ. ივანიძემ, თებრო ამისი ცოლის—ქ. გივიშვილმა და თავ. პეტრე წერილაძე, ნაფიცი ვექილი ბ. შათირიშვილმა. არა უშავდა რა მოსიკო, ვახტანგის მსახურს ბ. ყალამბეგიშვილს.

კარგის წარმოდგენით დამტკბარმა ბლომად დამსწრე საზოგადოებამ სთხოვა მსახიობთ, რომ ერთი წარმოდგენა კიდევ გაემართათ. რასაკვირველია, საზოგადოების სურვილი დაკმაყოფილებულ იქმნა: შაბათს, 25 მაისს, არტისტებმა ითა-

---

ალელვებულსა ამგვარის ქცევით
სურდა, მას უკან დასდევნებოდა,
მაგრამ ჯერ თითქო ვეღა ბედავდა,
თუმც არავისი ერიდებოდა.

—

რა ნადირობით წაიხალისეს,
მონადირენი სხვა-სხვა გზას გაჰყვნენ;
მალე ირაკლი სულ მარტო დარჩა,
მთელი მხლებელნი შემოეფანტნენ.
საღამო იყო მძიმე და ბნელი;
აღმოსავლეთით ჰქუხდა, ელავდა,
და საზარელი შავი ღრუბელი
ცის კამარაში, ვით ზღვა, ღელავდა.
თან და თან უფრო ჰქქის ზრიალი,
სიბნელეც უფრო ემატებოდა,
თითქო იმ ღამეს ჰაეროვნება
მიწას დამსხვრევას ექადებოდა...
დაიქვეითა ბატონიშვილმა,
ერთ ბილიკს მიჰყვა და გაეჩქარა;
ცოტა რომ განვლო, თითქო იღბალზედ,
ერთი გლეხკაცი შემოეყარა.
— ძმობილო! მითხარ, სადა ვარ ეხლა
და დამეხმარე უცხო მხრით მგზავრსა;
წვიმა, ხომ ხედავ, როგორ უმატებს,
ვერსად ვიშოვი თავშესაფარსა?
— ავარშია ხართ,—თუმცა ვერ იცნო,
თავი დაუკრა და მოახსენა,
— სათქვენო სახლი გლეხკაცს ვინ მისცა,
მოგეხსენებათ, რაცა გვაქვს ჩვენა...
ამ ბილიკს გაჰყვეთ, ერთს დიდს დიდებულს
სახლთან მიგიყვანს, ადგას ყავარი;
იქ სცხოვრობს ერთი ჩვენში განთქმული
ბელადის ქალი—მხნე გულჯავარი.—
უთხრა ესა და გამოეთხოვა,—
„იქ იპოვით სუყველაფერს მზას“.
ირაკლიმ მადლით გადაუხადა,
ორივ დაადგნენ თავთავიანთ გზას.

—

მალე ბნელაში მან გაარკვია
სახლის ფანჯრები განათებული,
არ დაიყოვნა, იქ მიაშურა
მოსასვენებლად დაღლილი გული.
რა მიახლოვდა, დაბმულ ოთხფეხთა
დაიწყეს ყეფა, გაიღო კარი,
სანთლით გამოჩნდა ბელადის ქალი,
გაფითრებული, ნაზი-ნარნარი.
(ამავე დროსა ზემო სართულის
ერთს ფანჯარაში სჩნდა კაცის თავი;
მხოლოდ ვინ იყო იგი ვაჟკაცი,
ირაკლის დარჩა შეუნიშნავი).
ჯავარს ირაკლი სულ არ ენახა,
არც იმან თავი დაისახელა;
წარსდგა ქალი წინ ბატონიშვილი,
შეიქაქანა და ჩაახველა:
— კეთილშობილო დარბაისელო!—
დაბლა დაუკრა ირაკლიმ თავი,
— სათხოვნელი მაქვს... მოხსენებისთვის
თუ არ ვიქმნები გასაკიცხავი...
გზა დაკარგული ერთი მხედარი
მეფის ამალის გთხოვთ, რომ მისტუმროთ,
და ვიდრე წვიმას გადაიღებდეს,
ერთ-ორ საათსა აქ შემაფაროთ.
— მობრძანდით! — უთხრა გულწრფელად ქალმა,—
ყოველთვისა აქვს ჩემ სტუმარს ბინა.
დაბლა აჩვენა სუფთა ოთახი,
ზემო სართულში თვით აირბინა.

—

— შენ შესცდი, რამაზ, ლევან არ არის,
ის აქ არ მოვა, ჩვენი მტერია...
უცბად შენიშნა, რამაზ გაფითრდა
და მთელი სახე სულ აერია.
— რა იყო, რამაზ, რაზედ გაფითრდი?!.
— იცი, ამ წამს ვის უმასპინძლდებით?
იმ უცხო სახეს არ დააკვირდით?!.—
ჰკითხა ყრუ ხმითა და აღელვებით.
— ვინ არის მერე? მითხარი, რამაზ,
იქნებ მასმინო სიტყვა რამ ტკბილი!..
— ირაკლი!! მეფე მთელის კახეთის
და საქართველოს ბატონიშვილი!
— ოჰ, სამართალო! ზეცის განგებავ!—
მხიარულებით შეჰკივლა ქალმა,—
— მაშ მართალია ციური ძალა,
ხელში ჩამიგდო ეგ თვით უფალმა!..
მზათა ხარ, რამაზ, სიმართლისათვის?
სუყველაფერი ეხლა გვიწყობს ხელს,
და მაგის მძოვრსა ისე მივმალავთ,
რომ თვით ეშმაკიც ვერას გაგვამხელს!..
აწ ჟამი არის შურისძიების,
რომ შენის ხანჯლით იგი გაჰგმირო...
შენ უტკბილესი ჯილდო მოგელის,
ჩემო ვაჟკაცო და ჩემო გმირო!.
უთხრა ესა და მხურვალე კოცნით
ყელს მოეხვია, როგორც რომ გველი.
ირაკლის მოკვლა მით გადასწყვიტეს
ეს საშინელი და საზარელი.

X

რაკი ირაკლი საწოლს შევიდა,
ტახტზე წამოწვა ტანთგაუხდელი,
მხოლოდ გაალო ყველა ფანჯრები:
ჰაერი იყო მძიმე და ცხელი.
არ გაუვლია რამდენიმე წამს,
ტკბილად ფშვინავდა ბატონიშვილი;
ფეხით ნამგზავრსა, დაღლილ-დაქანცულს
ძილს ვერ უფთხობდა ჭექა-ქუხილი.

—

ნელა გაიღო ოთახის კარი,
ორნი გამოჩნდენ მბჟუტავის სანთლით:

მაშს: „პირველი ბუზი“ კომედია 3 მოქმედებად გადმოკეთებული ვ. გუნიასი და ვოდევილი 1 მოქ. მისივე „ბედნიერი ცოლ-ქმრობა“. ამ პიესებში განსაკუთრებით საუცხოვო იყო ჩვენი სცენისათვის ქალთა ბურჯი და შეუდარებელი ტალანტის მქონე ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა. მშვენიერი იყო ქ. ა. კარგარეთელი და ნ. გივიშვილი. ასეთ ქალების თამაშს ხელს უწყობდა და ფოთის პაწია სცენას ამკობდა კაცების მოხდენილი თამაში, რის გამო მოთამაშეთ საზოგადოება მრავალგზით ვაშას ძახილითა, ტაშის კვრით და სცენაზე ყვავილების სროლით აჯილდოებდა. ქ-ნ ა. კარგარეთელს, როგორც უცხო სტუმარს ფოთისას, თამაშის დროს თაიგული მიართვეს. წარმოდგენის გათავების შემდეგ მსახიობთ მათი ნიჭისა და შრომის პატივისმცემლებმა სასტუმრო „კოლხიდა“-ში ვახშამი გაუმართეს და ასე ლხინითა და ვაშას ძახილით ნაშუადღევის 3 საათზე ბათუმისაკენ გაისტუმრეს.

ი. იანეთელი

ქ. თელავი. შაბათს, 25 მაისს, თელავის კლუბის დარბაზში გაიმართა ქართული წარმოდგენა, ჩვენი სასიქადულო არტისტის ვ. აბაშიძის 25 წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად. წარმოდგენის შემოსავალი გადაეცემა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას არტისტიულ ფონდის გასაძლიერებლად. წარმოადგინეს ა. ცაგარლის 4 მოქმ. კომედია „ციმბირელი“. აქაურ სცენის მოყვარეთა ქ-ნ იაშვილის, შატბეროვის და ბ-ნ აჯამამუდროვის, თ. დ. და ილ. ვახვახიშვილების და ყაზახაშვილის გარდა მონაწილეობას იღებდნენ ტფილისის დრამატიულ დასის არტისტები ვ. გამყრელიძე და დ. აწყურელი. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. უმთავრესს როლებს „ციმბირელი“-სას და „პეტუა“-სას ასრულებდნენ არტისტნი ვ. გამყრელიძე და აწყურელი, რომელთაც ისე ხერხიანად დაასურათეს მომქმედნი პირნი, რომ საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და ტაშის კვრით რამდენჯერმე გამოიწვიეს სცენაზე. დანარჩენთაც პირნათლად შეასრულეს თავ-თავიანთი როლები.

წარმოდგენის გათავების შემდეგ აიხადა ფარდა და გამოჩნდა იუბილიარის ვ. აბაშიძის დიდი სურათი გრეხილებში და ფოთლებში ჩასმული, რომელსაც აქეთ-იქით უდგნენ არტისტები. საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება არტისტის სურათს. დ. აწყურელმა შესაფერი ლექსი წაიკითხა.

სამწუხაროდ, საზოგადოება ამ წარმოდგენას ნაკლები დაესწრო, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

სასამართლო

ექიმის ვოინოს დაჭრა და მარიამ კოსაკოვსკაიას მოკვლა

გუშინ, 28 მაისს, ტფ. ოლქის სასამართლოში ირჩეოდა საქმე სპარსეთის ქვეშევრდომის ჭუსეინ რაჰიმ-ოღლისა, რომელსაც ბრალდება ცნობილ ქირურგ-ექიმის სტანისლავ ვოინოს მძიმედ დაჭრა და ვოინოსთან სამოქალაქო ქორწინებით მცხოვრების მარიამ კოსაკოვსკის მკვლელობა. სასამართლოში საქმის გამოსაძიებლად დაბარებულნი იყვნენ 32 მოწმე. ხალხი საქმის გარჩევას მრავალი დაესწრო. საბრალმდებლო ოქმით საქმის გარემოება ასეთია:

1901 წლის 7 ნოემბერს, ნაშუადამევის 3 საათზე, ბალდასარ ბერიევის სახლში (მიხეილის ქუჩაზე) მცხოვრებნი გამოუღვიძებიათ ვოინოს სახლიდან ამტყდარ ყვირილს—გვიშველეთო. ყვირილზე ეზოში გამოსულან დევან გვინცაძე, პანტელეიმონ სართანია, ნიკოლოზ ხეჩუმოვი და მეეზოვე ალექსი შვეცი; ამავე დროს ექიმს ვოინოს გაუღია ფანჯარა კაბინეტისა და დაუწყია მიხეილის ქუჩისაკენ ყვირილი პოლიციისათვის. ვოინოს ხმა გაუგონიათ პოლიციელებს პავლე პერეპელკინსა, იაკობ სარაჩევს და აგრეთვე ამ დროს ქუჩაზე ეტლით მიმავალ პორუჩიკს ვლადიმერ პესტრიკოვს, რომელნიც შესულან საჩქაროდ ეზოს და იქიდან კიბით მაღლა სახლის მეორე სართულში. ეზოდან ვოინოს ბინაზე შესასვლელი კარები ღია ყოფილა; გაღებული ყოფილა აგრეთვე მოსამსახურეების სადგომის კარებიც, თუმცა სამზარეულო, სადაც ამ დროს სძინებია ხელზე მოსამსახურე მეტრეველს, შიგნიდან ჩაკეტილი ყოფილა. მეტრეველი გამოუღვიძებიათ და მოუთხოვნიათ გასაღები, მაგრამ მას გასაღები არ აღმოსჩენია. როცა პოლიციელის მოთხოვნით მეტრეველს ვოინოსთან შესასვლელი ოთახის კარები უჩვენებია, აღმოჩენილა, რომ ამ ოთახის კარებში გარედან ყოფილა გასაღები ჩატოვებული. მთელი სახლი ვოინოსა სიბნელით ყოფილა მოცული. დასაძინებელ ოთახის ორივე კარები კაბინეტისა და სასტუმრო ოთახში გასასვლელნი, რომელნიც ყოველთვის შიგნიდან იკეტებოდნენ, გაღებულნი ყოფილან. კაბინეტში საწერ მაგიდასთან მარტო საცვლებში წაქცეული ყოფილა დაჭრილ-დასისხლიანებული ვოინო და იქვე დასაძინებელ ოთახის კარებში მთლად სისხლში ამოსვრილი უკვე გარდაცვალებული მარიამ კოსაკოვსკაიას გვამი გდებულა.

საშველად მისულ ზემოდ დასახელებულ პირთათვის ვოინოს განუცხადებია დაახლოვებით შემდეგი: ნაშუადამევის 3 საათზე ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა შეამტვრია საწოლ ოთახის კარები და როცა იგი და კოსაკოვსკისა შეშინებულნი წამოხტნენ საწოლიდან, ბოროტ-მოქმედი დაეცა მათ და დაუწყო ცემა დანით თუ ხანჯლით; ეს ბოროტ-მოქმედიო, სთქვა ვოინომ, იყო მისი, თვენახევრის წინად დათხოვნილი, მზარეული სპარსეთის ქვეშევრდომი ჭუსეინ-რაჰიმ ოღლი. ბოროტ-მოქმედების ადგილის დათვალიერებით აღმოჩენილა, სხვათა შორის, შემდეგი: საწოლ ოთახიდან წინა ოთახში გასასვლელ კარების მინები ჩამტვრეული ყოფილა, ასე რომ მინის ნაჭრები ოთახის შუა გულშიაც გადაცვივნულან. შუა ოთახში ტაბურეტკაზე მდგარი წყლიანი ტასტი, ჭურჭელი და აგრეთვე იქვე ვედრო, წყლით სავსე წაქცეული ყოფილა და წყლით მთელი იატაკი მორიალებული; მთელ ოთახში დაფენილი ხალიჩა, რომელიც მოსამსახურე მეტრეველის სიტყვით მუდამ აუღებელი იყო თურმე, ახლა დაკეცილი და ფანჯარასთან დაგდებული უნახავთ; მთელი ოთახის მოწყობილობა, ავეჯი დაძრული იყო ადგილიდან და ფანჯრებისკენ მიწყობილი. ვოინოსა და კოსაკოვსკის კრაოტებთან დიდძალი სისხლი ყოფილა დაქცეული. მთელ ოთახში სისხლით ოდნავ შეღებილი წყლის გუბეები მდგარა. კედლებზე საწოლ ოთახიდან კაბინეტში გასასვლელ კარებთან შეუნიშნავთ სისხლიანი ხელის კვალი, საწოლ ოთახის კარებზე და აგრეთვე გასაღებებზე უნახავთ სისხლის ნიშნები. შემდეგი გამოძიებით აღმოჩენილა, რომ ერთად ერთი შესასვლელი გზა, რომლითაც ბოროტ-მოქმედს შეეძლო საწოლ ოთახში შესვლა, ყოფილა ის კარები, რომელიც კარიდორიდან ვატერკლოზეტის წინა აივანზე ყოფილა გაკეთებული. შესანიშნავი ის არის, რომ ღამით ეს კარები ყოველთვის შიგნიდან იკეტებოდა და გარედან გასაღებით მისი გაღება ყოვლად შეუძლებელი იყო, თუ შიგნიდან გაკეთებული ამერიკული ბოქლომის ფოლაქი ძირს ჩამოშვებულ იქნებოდა; და აქედან ჩანს, რომ ამ ღამეს ფოლაქი ზევით აწეული ყოფილა.

გამომძიებელთან თვით ვოინოს შემდეგი განუცხადებია: იგი და კოსაკოვსკაია ჩვეულებრივ 11 საათზედ დაწოლილან; ღამით იგი გამოაღვიძა რაღაც გამოურკვეველმა ხმაურობამ. გამოღვიძებია აგრეთვე კოსაკოვსკაიასაც, რომელიც რაღაცაზე გამოლაპარაკებია ვოინოს. პირველ ხანს ვოინოს ხმაურობა მიწის ძვრად მოსჩვენებია. ამ დროს ვიღაცას ოთახში სპიჩკა გაუკრავს და უცბად დაცემია თავს ქვეშაგებში წამომდგარ ქალსა და კაცს და დაუწყია მათთვის ცემა დანით ან ხანჯლით. ვოინოს ხელი უტაცნია ბოროტ მოქმედისათვის, მაგრამ მას ისე მძიმე ჭრილობა მიუცია თავში ვოინოსათვის, რომ უკანასკნელი წაქცეულა და შემძვრალა კრაოტ ქვეშ, სადაც იმწამსვე გრძნობა დაკარგვია. როცა გამორკვეულა, შეუნიშნავს, რომ ოთახში სანთელი ენთო და ვიღაც კაცი ფათურობდა. როცა ისევ საწოლ ოთახში შებრუნებულა ბოროტ-მოქმედი, ვოინოს, მისის სიტყვით, დაუწყია ყვირილი, რის გამო ბოროტ-მოქმედი გაქცეულა და კაბინეტში დამალულა. შემდეგ ვოინო დარწმუნებულა, რომ ყოველივე დამშვიდდა, შეუხვევია ფეხი, გამოსულა თავის კაბინეტში, ქუჩისკენ ფანჯარა გაუღია და ყვირილი დაუწყია. ვოინოს მისგან დაკარგული ფულიანი ქისა და ნიშნები ქაღალდის ფულისა გამომძიებლისათვის ასე აუწერია: საფულეში მას ჰქონდა 4 ოც-ოცდახუთ-მანეთიანები, რომელთაგან ერთი ძველი და გამწვირიანებულიც ყოფილა, ხოლო სამი უფრო ახალი. 75 მან. წინა დღით ვოინოს გრიგოლ მაკაროვისაგან მიუღია, რომელსაც კიდეც შეუმოწმებია ეს ამბავი.

რადგანაც ვოინოს გადაწყვეტილად უთქვამს, რომ მისი თავზედ დამცემი ნამდვილად მისი მზარეულად ნამყოფი ჭუსეინ-რაჰიმ ოღლი იყო, პოლიცია იმავე დღეს შესდგომია ძებნას და კიდეც დაუჭერიათ იგი. როცა გაუშინჯავთ ჭუსეინი, მის ხელის ერთს თითზე უნახავთ ცოტათი გაფხაჭნული კანი, ხოლო გასასინჯავად ტანზე გახდის დროს ჩექმებიდან გადმოვარდნია რამდენიმე ცალი 25 მანეთიანებისა. გაუხსნიათ და აღმოჩენილა ოთხი ქაღალდის 25 მანეთიანი, მათგან სამი უფრო ახალი და ერთი დაძველებული. ჭუსეინის ბინაზე უნახავთ სველი ბუხრის ქუდი და ჩოხა, რომლებზედაც ბოქაულს ვითომც შეუნიშნავს სისხლი, და როცა უკითხავთ მისთვის მიზეზი, თათარს განუცხადებია, ჩოხა და ქუდი გარეცხა წინა დღით, რადგანაც ძალიან ჭუჭყიანი ჰქონდა. გამომძიებელთან ჭუსეინს თავი დამნაშავედ არ გამოუცხადებია და უთქვამს, რომ ერევნიდან ჩამოსვლის შემდეგ მზარეულად დადგა ვოინოსთან, რომელსაც რამდენიმე ხნის შემდეგ თავი დაანება, რადგან ცოტა ჯამაგირს იღებდა. ასი მანეთი მან ამ ნაირად იშოვნა: 50 მან. (2 ოც-და-ხუთ მანეთიანი) აჩუქა მას მისმა კარგმა ნაცნობმა ვინმე მამედმა (გვარი და მისი საცხოვრებელი ადგილი არ იცის) ტფილისში, იმიტომ რომ წინად ჭუსეინმაც თავის მხრით ერევანში ის პატივი სცა მამედს, რომ ვერცხლის ქამარი და სხვა რაღაც ნივთიც აჩუქა. დანარჩენი ორი ოც-და-ხუთმანეთიანი მან შეიძინა სამსახურის დროს. ფეხსაცმელის ყელში ფულები იმიტომ შეინახა, რომ ეშინოდა პოლიციელებს მისთვის არ ენახათ და არ წაერთმიათ. ჭუსეინის იარაღები ერთი ბლაგვი ხანჯალი და ბებუთი ორივე სუფთა აღმოჩნდა. სხვა იარაღი მე არა მქონია-რაო, განუცხადებია მას. ჩოხაზე სისხლის წვეთების გამო ჭუსეინს უთქვამს, რომ ეს სისხლი მას მოეცხებოდა ერევანში ცხვრის დაკვლის დროს აგამალოვისას აღდგომას და ან ჭუსეინის დღესასწაულის დღეს, როცა ჩვეულებრივ თავში ირტყამდა ხანჯალს. შემოწმებით ჭუსეინს მართლა თავში უნახეს რამდენიმე ჭრილობა უკვე კარგა ხნის მოშუშებული. მოკლულ კასაკოვსკაიას ქალის ჭრილობათა შემოწმების შემდეგ ექიმს—ექსპერტს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ქალს სასიკვდილო ჭრილობა აქვს მიღებული იმ დროს, როცა იგი მკვლელის წინ დაჩოქილი უნდა ყოფილიყო; ამასთანავე ექსპერტს ისიც დაუსკვნია თვის გამოკვლევაში, რომ ქალის მკვლელი ერთი კი არა, ორი კაცი უნდა იყოს.

ზემოდ აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით ჭუსეინი რაჰიმ-ოღლი პასუხის გებაშია მიცემული; მას ბრალდება წინასწარ განზრახვით, ვოინოს ქონების მოსატაცებლად, მისი მოკვლის განზრახვა და მარიამ კოსაკოვსკაიას მკვლელობა. ბრალდებული ახალგაზდა (22 წლის) დამაზი კაცია.

(დასასრული იქნება)

უცხოეთის წვრილი ამბები

არჩევნების გამო საფრანგეთში. ამ უკანასკნელი არჩევნების გამო საფრანგეთში შემდეგ გასართობ ამბავს სწერენ გაზეთები. პარიზში ერთი დედათა მონასტერია, სადაც „კეთილგონიერი“ ოჯახების ახალგაზდა ქალები იზრდებიან. როცა არჩევნების დრო მოახლოვდა, ამ მონასტერის წინამძღვარს ერთმა ფიქრმა გაუელვა თავში. იმან გამართა ლატარეია, რომელშიაც ყველა ახალგაზდა ქალს ერგებოდა რომელიმე ოლქი, რომლისთვისაც იმას გულმოდგინედ უნდა ელოცნა, რომ ახალი არჩევნები „მართალი საქმის“ გამარჯვებით გათავებულიყო. ერთ თხუთმეტი წლის ქალს ერგო სენისა და ლუარის ოლქი, რომელსაც ის სრულიად არ იცნობდა და რომელმაც ის დიდად შეაწუხა. რა საქმე ჰქონდა იმას სენასთან და ლუარასთან? ადგა ქალი და წინამძღვართან წავიდა, შესჩივლა იმას თავისი მწუხარება.

— თქვენო მაღალ-ღირსებავ, დედავ წინამძღვარო,—ქვითქვითებდა საბრალო ქალი,—მე ოდის ოლქიდანა ვარ და მინდოდა ჩემი ოლქისთვის მელოცა.

კეთილმა წინამძღვარმა სია გაშალა და ჩახედა.

— ჩემო საბრალო ბავშვო, ოდის ოლქი სხვისია, მე ხომ არ შემიძლიან, ეს ოლქი წავართვა იმას, ვისაც ის წილის ყრით ერგო. თქვენ სენა და ლუარა გერგოთ, და იმათთვის უნდა ილოცოთ.

წინ მოდიოდა ფთხილად ჯავარი,
შემდეგ რამაზი შიშველის ხანჯლით.
— სძინავს! რამაზო, მომიახლოვდი,
რომ საუკუნოთ ეს დავაძინოთ!
ნულარა ყოყმობ, დაჰკა მოსისხლეს,
მის სისხლი შევსვათ და მოვილხინოთ!..
მიუახლოვდა საწოლს რამაზი
და შეუმაღლა მძინარს ხანჯალი...
ამ დროს მოესმათ იმათ ღრიალი,
რაც კი კაცსა აქვს ღონე და ძალი,
და ფანჯარაში, როგორც რომ ელვა
ვინმე ჭაბუკი გადმოერია...
— ლევან!—საშინლად შეჰკივლა ქალმა—
— ლევანი არის, ჩვენი მტერია!..
— ადექით, მეფევ! ბატონიშვილო!
ამ ჯოჯოხეთში რამ დაგაძინა?!
სისხლის მსმელები თავს გახვევია,
ნუ თუ სხვა ალაგს ვერ ჰპოვე ბინა?!
— ოჰ, დაწყევლილო!—შესძახა ქალმა—
— ჩვენ ჯერ შენ მოგკლავთ! რამაზ, დაჰკარი!
ამალამ უნდა ორნივ დავხოცოთ:
ეს მოღალატე და ეს მზაკვარი!..—
— უკან დადექით! მან დაიქუხა
და საგერებლად იქნევდა ხმალსა,
— უკანა, თორემ ორთავ გაგკვეთავთ,
რჯულს გეფიცებით, ზენარ-უფალსა!
—
ირაკლი მალე ზეზე წამოხტა,
გაშტერებული იყურებოდა...
რა გაარკვია რამაზ და ჯავარ,
ეჭვებით მიხვდა, რაცა ჰხდებოდა.
— გმადლობ დახსნისთვის, შენ, ჩემო ლევან!
ამათ უნდოდათ ჩემი სიკვდილი?!....
გულჯავარ მეტის სიბრაზით თრთოდა,
რამაზი იდგა მთლად ფერ-მიხდილი.
—რამაზ! მედგარო, შე უმადურო!
რაღას შეჩერდი? მოდი, მომკალი,
რომ ჩემის სისხლით შენ შეისყიდო
გზა-არეული როსკიპი ქალი!..
მისთვისა გზრდიდი ჩემს სახლში ჩემთან,
მისთვის შეგფიცე ძმა-მეგობრობა,
მისთვის ალერსით თავს გევლებოდი,
რომ გაგეწია ამგვარი მტრობა?!!.
არა! მე სულ სხვას მითხრობდა გული,
სხვა-გვარს ვეძებდი შენში ძმობასა:
ვფიქრობდი, მამულს ჭირში და ლხინში
შენ გაუწევდი მტკიცე ყმობასა!..
შენ უღალატე განა თუ ერთ კაცს!
არა! მთელს ხალხსა და თვით მამულსა:
შენ მათ სტაცებდი პატრონს, წინამძღვარს
და მთავარ—სარდალს თავ-დადებულსა!..
თუმცა ამაგი შემენანება,—
ვერ გაგახარებ მე პატიებით,
და ორივესა თავებს დაგჭრიან
სამართლით და არ შურის-ძიებით.
ჯავარ გაცოფდა მეტის სიბრაზით:
—დიახ! მოკვლისა მქონდა წყურვილი,
და ეხლა გული შუა მეპობა,
რომ ვერ აღსრულდა ჩემი სურვილი!..
დე, თავი მომჭრან!.. შენ ხარ მტარვალი,
დამხშველი ლეკთა თავისუფლების!
შენა ხარ მკვლელი მამულის-შვილთა:
მკვლელი მამისა ჩემის, ძმისა, ქმრის!..
—ჩუმათ! სამართლით აჯანყებისთვის
დასაჯეს შენი ნათესავები,
და რადგან შენცა კაცის მკვლელი ხარ,
იმათსავითა შენც დაისჯები!..
—ჩემო ხელმწიფევ!—ლევან წინ წარსდგა
და მოახსენა ხმისა კანკალით,—
—ორ სიტყვას გეტყვით, გთხოვთ, მომისმინოთ,
და მერე თუნდ მეც მათთან მომკალით:
ჯოჯოხეთური ეს ტურფა ქალი
მიყვარდა ბევრით მეტად ჩემს თავზედ,
და როს მომხიბლა ცრუ ტრფიალებით,
მან უსირცხვილოდ გამცვალა სხვაზედ...
რამაზი იყო საუკეთესო
ჩემი ერთგული ძმა-მეგობარი...
მანც მიღალატა: სატრფო წამართვა,
გასტეხა სიტყვა შენაფიცარი!..
ეხლა ორივეს ვხედავთ უგონოდ;
გთხოვთ მოიბრუნოთ მაგათზე გული:
ქალსა რევს მისი შურის-ძიება,
და საწყალ რამაზს მის სიყვარული!..
ჩემო მეფევ! მუხლ-მოდრეკით გთხოვ,
ორივ დაიხსნა სიკვდილისაგან:
გონება მიხდილს არავინა სჯის....
მეც შორს არ ვიყავ ამ ცოდვისაგან!..
—მაშ დავივიწყო, ყველა ეს, ლევან?
ძალიან კარგი, მე გეთანხმები:
შენ მართალი ხარ, სჯობს სინდისისთვის,
როს ცოდვისათვის ცოდვას არ შვრები.
დეე, მეჩვენოს, ვითომ ამ წყვდიად
საზარელს ღამეს ვნახე სიზმარი:
ვითომ ერთგული ძმა მეგობრისგან
საყვარლის გამო ვიყავი კვდარი...
წავიდეთ, ჩემო ერთგულო ლევან!...
მე იმას ვსტირი, ის მიგმარავს გულს,
რომ ამ ერთ კაცში ოცი დავკარგე,
რომ ამ გმირს ვხედავ ასე დაცემულს!!.
—
— მეფევ! იცოცხლე!—უთხრა რამაზმა,—
მე არ დაგტოვებ მაგ სინანულში!...
და ირაკლისთვის გამხადებული
თითონ დაიცა მახვილი გულში.

ა. ცაგარელი.

მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილი ქალი სასტიკად აღზრდილი იყო სარმრთო რჯულზე, მაინც ის ეშმაკმა დასძლია და გულში ჩაუჯდა.

— მე ძალად მალოცეს „სენისა და ლუარასთვის“, მე კი არც მილოცნია და არცა! სრულიად არ მილოცნია!—მეორე დღეს ეუბნებოდა ის თავის ამხანაგ ქალებს.

მერე რა გამოვიდა აქედან? როდესაც ამორჩევანთა სიები გამოაქვეყნეს, რა უბედურება ეწვია ამ პატარა კერას! აღმოჩნდა, რომ „სენას და ლუარას“ ოლქში სამინისტროს მომხრე იყო 89,000 ხმა, ხოლო წინააღმდეგი მარტო 52,00. მერე როგორ ინანა პატარა ქალმა, როცა ეს შედეგი შეიტყო,— აბა რაღა გაუგონა იმან ბოროტ სულს!

* *

გემი—მონასტერი. ამ ჟამად შავს ზღვაში მოგზაურობს სურსათისა და სხვა საოჯახო საჭიროებათა შესაძენად დიდად საინტერესო და არა ჩვეულებრივი გემი. ეს იალქნებიანი ხომალდია და სახელად „საფარველი ყოვლად წმინდისა ღვთის მშობლისა“ ჰქვიან და ეკუთვნის წმ. პანტელეიმონის უდაბნოს ათონის მთაზე.

ეს ხომალდი ნამდვილი მონასტერია. ყველა მოსამსახურენი და თვით კაპიტანი—ათონის მთის ბერები არიან, და ყველას შავი ბერების სამოსელი აცვიათ.

კაპიტანი—ბერმონაზონია, მამა გერასიმე, რომელსაც აცვია, როგორც იმის ღირსებას შეეფერება ხრძელი შავი ანაფორა და თავზე ბარტყულა ხურავს.

მატროს-ბერებსაც ბერულად აცვიათ, მხოლოდ იმათი სამოსელი მატროსის სამსახურისთვის არის მოწყობილი. იმათ აცვიათ მოკლე ანაფორები, ხალათებივით, განიერი შავი შარვლები (ოსმალურად) და მაღალყელიანი წაღები; თავზე შავი სკუფიები ხურავთ.

ამ გემზე „საფარველი ყოვლადაწმინდისა ღვთის მშობლისა“ გაკეთებულია ეკკლესია და გემის ცხვირზე დიდი ჯვარი ჰკიდია. როგორც ყველა მოწყობილება გემისა, თვით გემიც შავად არის შეღებილი. გემის ეკკლესიაში ჩვეულებრივ სამონასტრო ღვთისმსახურებას ასრულებს გემის კაპიტანი, მღვდელ-მონაზონი გერასიმე.

გემზე გაფრიალებულია ოსმალეთის ბაირაღი.

„საფარველი ყოვლად წმინდის ღვთის მშობლის“ გემზე სასტიკად იცავენ მონასტრის წესდებას; მაგალითად, დედაკაცებს სრულიად არ აკარებენ გემს. სხვა-და-სხვა ნავთ სადგურებში, სადაც ამ გემმა შეიარა, ბევრმა ქალმა, რომლებსაც ზღვისა არ ეშინიანთ, ნავებით შორს მანძილი გასცურა და მოინდომა გემის დათვალიერება, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ისინი გემზე არ აუშვეს, კაცებს კი მისცეს დათვალიერების ნება.

ათონის მთიდან პანტელეიმონის უდაბნოდან ამათ მოაქვთ სხვა-და-სხვა ადგილობრივი ნაწარმოები და განსაკუთრებით ზეთისხილი, ხოლო თავიანთთვის უდაბნოში წასაღებად ყიდულობენ ფქვილს, ხიზილალას და სხვა სურსათს ბერებისთვის.

თუმცა ოსმალეთის დროშის მფარველობის ქვეშ მოგზაურობს ეს გემი, მით უმეტეს ყველა მასზე მოსამსახურენი რუსები არიან.

**

ქალები იმარჯვებენ! ამას წინად მოხსენებული გვქონდა გამოჩენილის კნეინა როდზევილის გასამართლიანება; კნეინას ბრალდებოდა ყალბი დოკუმენტების შედგენა სესილ როდსის სახელით. მეორე გამოჩენილი პროცესი (ჯერაც არ დასრულებულა) პარიზელი ემბერებისაა, და ეხლა კიდევ ვენაში თავი ისახელა ერთმა ქალმა.

ამ დღეებში ასამართლებდენ ერთს ახალგაზდა ჩეხის ქალს, ხელოსნის პოჟაროვის ცოლს, რომელიც გასაოცარის მოხერხებით და ავაზაკობით დიდ-კაცების სახელით დიდ-ძალ ფულებს სტყუებდა შეძლებულ ხალხს. როგორც შუამავალი, ფულებს სესხულობდა და უზრუნველობის ყალბ დოკუმენტებს აძლევდა, რომელზედაც ისეთ პირებს ეწერათ ხელი, როგორც ერცჰერცოგები ოტტო და ფერდინანდი, ავსტრიის ტახტის მემკვიდრის ძმები, მინისტრებს გოლუხოვსკის და კრიგსჰამერს, ოლმიუცკის არქიეპისკოპოსს, თავადთ ვინდიშგრეცს და შვარცენბერგს, გრაფინია კილმანსეგს და სხვათა. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა და ჩოჩქოლი ასტეხა ვენის მაღალს საზოგადოებაში. გრაფინია კილმანსეგის გამოცხადებამ სასამართლოს დარბაზში დიდი ინტერესი აღძრა. ყველაზე მეტ ავაზაკობას ამ გრაფინიას სახელით ჩადიოდა პოჟაროვის ცოლი. კნეინა მეტერნიხის შემდეგ ეს გრაფინია, რომელსაც „მშვენიერ ანასტასიას“ უწოდებენ,—პირველი „მოდის“ მიმდევარია და ვენის უმაღლესი საზოგადოების დიდებული და უკეკლუცესი მანდილოსანი. ის რუმინიელი ქალია ბესარაბიიდან, ოპერეტის მომღერალი იყო და განთქმული მოტრფიალეა ველოსიპედისა. შესანიშნავი ის არის, რომ ეს მშვენიერი გრაფინია თავის დღეში თვალით არ უნახავსი ავაზაკ ქალს, როგორათაც იმას არ უნახავს უმეტეს ნაწილი იმ მდიდარი ტუტუცებისა, რომელთაც ასე ოსტატურად ატყუებდა.

ორი დღის სჯა-ვანხილვის შემდეგ, სასამართლომ ქალბატონს პოჟაროვისას მუსაჯა ორი წლით „მძიმე დაპატიმრება“ ციხეში.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მაისი

პეტერბურგი. როსტოვში, მონასტერში სადილზე, გენერალმა ბოგდანოვიჩმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც გამოხატა მღვდელ-მთავრის დიმიტრი როსტოველის დიადი ღვაწლი რუსეთის ეკკლესიისა და მართლმადიდებელთა წინაშე. გენერალმა ბოგდანოვიჩმა ასე დაასრულა თავის სიტყვა: „დიდება მზესა რუსეთის მიწისასა, ჩვენს ხელმწიფეს, დიდება! დიდება როსტოვის დიდს, დიდება“! ბოგდანოვიჩს ძვირფასი ხატი მიართვეს.

ერევანი. ყველგან კარგი მოსავლის პირი უჩანს პურს, ბაღებს და ხილს.

სარატოვი. გუშინ საშინელი წვიმა მოვიდა, რომელმაც რამდენიმე სახლი წალეკა.

ალექსანდროვი. ყინული აფერხებს არხანგელსკში მიმოსვლას. რამდენიმე გემი გაყინულია. აქ ჯერ კიდევ ზამთარია.

ვარშავა. პეტერბურგში მიმავალმა ბოლგარიის მთავრმა ვარშავაზე გაიარა.

ასხაბადი. მერვისა და ტეჯენის მაზრების ეკონომიური მდგომარეობა, უწყლობის, კალიის და საქონლის ჭირის გამო, იმდენად ცუდია, რომ გამოკვებისა და მინდვრების დათესვისათვის მოუნდება არა ნაკლებ 500,000 მანეთისა. ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებად შუამდგომლობისათვის პეტერბურგში წავიდა ოლქის უფროსი გენერალი სუბოტიჩი.

სიბილენორტი. მეფის მდგომარეობა უკეთესია.

ლონდონი. გაზეთებში დაბეჭდილია პრეტორიიდან მოსული ამბავი 15 მაისიდან, რომ იმავე დღეს, როცა თათბირი ჰქონდათ ვერენიგინგში, სამოცზე მეტი პირი დაატუსვეს ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობის მიღებისთვის.—კიტჩენერი იტყობინება, რომ იარაღის აყრა გარკა მიდის; 1,986 თოფი ჩააბარეს, სულ-კი 4,342. კლერკსდორპში დანებდა გენერალი ლიბენბერგი 470 კაცით.

რომი. დუელში პრინეტიმ მსუბუქად დასჭრა ყურში ფრანკეტი.

პეტერბურგი. ოთხშაბათს, 29 მაისს, პიროგოვის მუზეუმში მოხდება სამი სამედიცინო საზოგადოების სხდომა, რომ პატივი სცენ გარდაცვალებულის ექიმის ებერმანის სახელს.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ აცხადებს, რომ ბურთა წარმომადგენლების გავრცელებული ხმები ევროპაში, ვითომ ოფიციალურად გამოცხადებულის შერიგების პირობების გარდა, სხვა საიდუმლო პროტოკოლი და პირობებიც არის—ყოვლად სიმართლეს მოკლებულია.

28 მაისი

რიაზანი. გაიხსნა საგანგებო კრება გუბერნიის ერობისა. განსახილველია დაზღვევის წესები და ტარიფი საპენსიო კასსის შესახებ.

ლონდონი. შალკ-ბურგერი და ბოტა ბურებთან გაგზავნილ წერილით, გულმხურვალე მადლობას უთვლიან თავიანთ მოვალეობის თავგამოდებით ასრულებისათვის და ბოლოს დასძენენ: „ახლა, როდესაც შეკრულია მშვიდობიანობის პირობა, თუმცა არა ისეთი, როგორიც ჩვენთვის სასურველი იყო, დავემორჩილოთ იმ ბედს, რომელიც ღმერთმა გვარგუნა. ჩვენ სინიდისიერად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჩვენი ხალხი ისე იბრძოდა, რომლის მსგავსს ძნელ'ად თუ შეხვდებიან ისტორიაში. მაშ შევუდგეთ ახლა სხვა ბრძოლას: გადავდოთ უკველი მწუხარე ფიქრები, დავივიწყოთ და ვაპატიოთ, რათა გამთელდნენ ჩვენი იარები“.

პეტერბურგი. დეისტვიტ. სტატსკი სოვეტნიკი სტებლინი-კამენსკი დაინიშნა საზღვაო სამინისტროს კანცელიარიის დირექტორად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ გაზეთ „გრაჟდანინ“-ში „დღიურის“ ავტორი სასტიკად სჯის საგუბერნიო მმართველობის უფროს მოხელეთა შესახებ და ავიწროებს შესაფერი პატივისცემა მმართველობის წარმომადგენელთა მიმართ,—დაადგინა: გაზეთს „გრაჟდანინ“-ს გამოეცხადოს პირველი გაფრთხილება.

ინფანტერიის გენერალს, სამხედრო საბჭოს წევრს გონჩაროვს ებოძა წმ. ვლადიმირის პირველი ხარისხის ორდენი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 მაისს

გვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,40	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	$37,62^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2—6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^3/_4$	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98^3/_4$	მყიდვ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	292	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$88^3/_8$	„
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$83^1/_4$	„
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89^5/_8$	„
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	182	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

სტუდენტი

ამზადებს გიმნაზიებისათვის, სათავად-აზნაურო, სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლებისთვის. მეორე თუმანოვის ქუჩა, № 21. (3—1)

„უქნიე ნომერა“

(ბარონის ქუჩაზე, მანთაშევის სახლში)

სრულიად ახლად გადაკეთებულია, ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის ახლო. ნომრები 60 კაპ. დაწყებული; თვიურად—15 მან. და მეტი. სისუფთავე და კარგი წეს-რიგი. (6—4)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
ივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაუენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიიდან ხელით ნახატებიდან.

[illegible]

იღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—1)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის ირდაპირ. (0—24)

მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარგარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაის ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—30)

Дозволено цензурою Тифлисъ, 28 Мая 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.